წლიური ანგარიში

2021

ადამიანის უფლებათა ცენტრი **(HRC)**

ალეკო ცქიტიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი 25 წლის გახდა. ორგანიზაციის დაარსებიდან მეოთხედი საუკუნე გავიდა. ასეთი საიუბილეო თარიღი პარტნიორი ორგანიზაციების, მედიის და მხარდამჭერი დონორების შეკრებით და საზეიმო ბანკეტით შეიძლებოდა აღნიშნულიყო, მაგრამ ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში, ეს ვერ მოხერხდა - 2021 წელმაც მკაცრი რეგულაციებით და ჩაკეტილობით ჩაიარა.

ასეა თუ ისე, ადამიანის უფლებათა ცენტრის დაარსებიდან - 1996 წლის 10 დეკემბრიდან 25 წლის თავზე თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ორგანიზაციამ შეძლო მაღალი ნდობის და ავტორიტეტის მოპოვება, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე. ამას წლებიც დაჭირდა, მაგრამ ცნობადობა პირველ წლებშიც ისეთი მაღალი იყო, რომ უცხოელ პარტნიორებს ორგანიზაციის თავდაპირველი სახელწოდება - ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი (HRIDC) კარგა ხანს ახსოვდათ და ამის გამო ამ ძველი სახელწოდების ლათინური აბრევიატურაც - HRIDC მხოლოდ 2021 წელს ჩამოშორდა საბოლოოდ ორგანიზაციის საკომინიკაციო საშუალებებს. ამუშავდა ცენტრის ახალი საიტი HRC.GE - ახალი დიზაინით და შესაძლებლობებით. ამიერიდან ყველგან სწორედ HRC იქნება ორგანიზაციის ლათინური აბრევიატურა, რაც ზუსტად შეესაბამება სახელწოდებას.

ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის ოფისი ნახევრად დისტანციურად მუშაობდა. ბენეფიციარებთან ფიზიკური ურთიერთობა შეიზღუდა, მაგრამ ორგანიზაციის იურისტები ყველანაირად ცდილობდნენ, დისტანციური მომსახურებით მოქალაქეთა სამართლებრივი დახმარების ხარისხი არ გაუარესებულიყო. საკმაოდ რთული აღმოჩნდა ტრენინგების ჩატარება დისტანციურად, განსაკუთრებით - 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დამკვირვებელთა მომზადება, ისე, რომ კენჭისყრის დღის მონიტორინგი ხარისხიანად წარემართათ. ასეთი გამოწვევების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა წარმატებულად განახორციელა არჩევნების მონიტორინგი, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდზე და მეორე ტურზე დაკვირვებასაც მოიცავდა.

გამართულად მუშაობენ ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონული ოფისები კახეთსა და შიდა ქართლში. შიდა ქართლის ოფისის კოორინატორის, ალექსი მერებაშვილის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობა 2021 წელს ნიდერლანდების

საელჩოს მიერ დაწესებული პრიზით (ადგილობრივი ადამიანის უფლებათა ტიტა) აღინიშნა, რაც ყველას გვეამაყება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის უფასო იურიდიული დახმარების პროგრამის პარალელურად, 2021 წელს წარმატებით გაგრძელდა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების და საპროტესტო აქციების მონიტორინგის პროექტი. ცენტრის მონიტორები აკვირდებოდნენ ყველა მნიშვნელოვან პროცესს და აქციას. დაკვირვების შედეგები ანალიტიკურ დოკუმენტებსა და ანგარიშებში ასახეს იურისტმა ანალიტიკოსებმა. NED-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში მომზადებული ეს დოკუმენტები ძალიან ძვირფასია მიმდინარე პროცესების დოკუმენტირებისთვის და შეფასებისთვის. ანალიტიკური კომპონენტი უკვე რამდენიმე წელია, ახლავს უფასო იურიდიული დახმარების მიმართულებას, რაც საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ საქმეების წარმოებისას გამოვლენილი ტენდენციები, შევაფასოთ კანონმდებლობის და პრაქტიკის ნაკლოვანებები და დავგეგმოთ შესაბამისი ადვოკატირება მთელი რიგი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციასთან (FIDH), ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტთან (NHC), ადამიანის უფლებათა სახლების ქსელთან და ა.შ. მათი მხარდაჭერით და ერთობლივი მუშაობით, ბევრად ეფექტიანი და შედეგიანია ამა თუ იმ პროექტით დასახული მიზნების შესრულება. სამწუხაროდ, პანდემიამ კვლავ შეუშალა ხელი ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელთა ადვოკატირების ვიზიტებს ევროპაში, რის გამოც ევროპარლამენტარებს და სხვადასხვა საერთაშორისო აქტორებს წლის განმავლობაში კვლავ დისტანციურად ვხვდებოდით.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ პერიოდში ახალი სიმწვავით წარმოჩინდა პოლარიზაციის პრობლემა, რაც იწვევს პოლიტიკური პროცესის მარგინალიზებას და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეფერხებას. ხელისუფლება არ არის მზად, დროულად გაატაროს რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით, ხოლო ოპოზიცია ხშირად საკუთარ ადგილს მხოლოდ ქუჩის საპროტესტო აქციებზე ხედავს. ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უჭირთ, მოიპოვონ ხელისუფლების მხარდაჭერა აუცილებელ ცვლილებებზე და სამწუხაროდ, ვერც ოპოზიციასთან თანამშრომლობა იძლევა სასურველ შედეგებს. ამიტომ პრობლემებიც წლიდან წლამდე მატულობს და ვხედავთ, რომ საქართველოში მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა უარესდება. ამ პროცესების თანმდევია პოლიტიკურ სივრცეში ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების შემოჭრა და დამკვიდრება. ამ ჯგუფებისთვის დამახასიათებელი რადიკალური ეთნონაციონალიზმი, ექსტრემიზმი და ფობიები ხშირად იწვევს დაპირისპირებას საზოგადოებაში, რამაც კულმინაციას მიაღწია 2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობრივი მოვლენებისას.

გვაქვს იმედი, რომ საზოგადოებას შეუძლია, მიყვეს ქვეყნის ევროატლანტიკურ არჩევანს და გეზს.

ადამიანის უფლებათა ცენტრიც, პირველ რიგში, ამ პროცესში ხედავს საკუთარ თავს, როგორც საზოგადოების მოკავშირე და დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპების დამცველი ორგანიზაცია.

ნინო ცაგარეიშვილი
თანადირექტორი

2021 წლის პირველ ნახევარში გაგრძელდა კოვიდ 19-ის პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებული მკაცრი შეზღუდვები, რომელიც, საერთო ჯამში, გაუმართლებლად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაჭიანურდა. ადამიანის უფლებათა ცენტრი 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე, არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის (ECNL) მხარდაჭერით, აკვირდებოდა მთავრობის მიერ პანდემიასთან ბრძოლის მოტივით შემოღებულ სხვადასხვა შეზღუდვებს და აანალიზებდა მათ შესაბამისობას ადამიანის უფლებათა შეზღუდვის პროპორციულობის, აუცილებლობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებთან. ამ საკითხების შეფასებას ცენტრმა არაერთი ანალიტიკური დოკუმენტი მიუძღვნა[1].

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისა და მომძლავრებული სამოქალაქო პროტესტის ფონზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების რეალიზაციის მდგომარეობა. 2020 წლის

[1] იხ. ანალიტიკური დოკუმენტები: „კოვიდ 19, საგანგებო ზომები და სამოქალაქო თავისუფლებები საქართველოში“, მარტი-მაისი, 2021: http://www.hrc.ge/files/128COVID-19%20&%20EMERGENCY%20MEASURES%20-geo.pdf ; „კოვიდ 19, საგანგებო ზომები და სამოქალაქო თავისუფლებები საქართველოში”, დეკემბერი-მარტი, 2021: http://www.hrc.ge/files/8covid-analitic-geo.pdf; ,,კოვიდ 19, საგანგებო ზომები და სამოქალაქო თავისუფლებები საქართველოში”, 2020: http://hrc.ge/files/reports/16analitikal%20brief%20-geo.pdf

სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე პერიოდში, ECNL-თან თანამშრომლობის ფარგლებში, ორგანიზაცია ქალაქ თბილისში გამართულ პოლიტიკური და სოციალური თემატიკის 15 შეკრებას დააკვირდა. ადამიანის უფლებათა ცენტრი სასწრაფო განცხადებებით ეხმაურებოდა შეკრების უფლების დარღვევის საგანგაშო შემთხვევებსა და შეკრების უფლების დაცვის სტანდარტის გაუარესების ტენდენციებს. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 2021 წლის 5 ივლისს ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების მიერ გამართული აქცია ლგბტქი+ პირებისა და მათი მხარდამჭერების მიერ დაგეგმილი „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ, სადაც რადიკალურმა ჯგუფებმა, ოფიციალური მონაცემებით, 53 ჟურნალისტს მიაყენეს ფიზიკური დაზიანება. სამართალდამცავმა ორგანოებმა კი სრული უსუსურობა გამოავლინეს დედაქალაქის ცენტრალურ ადგილებში განვითარებულ მასობრივი ძალადობის ფაქტებზე. 5 ივლისს სასტიკად ნაცემი TV პირველის ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა, ინციდენტიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. დღემდე დაუსჯელები არიან 5 ივლისის ძალადობრივი აქციის ორგანიზატორები, მათ შორის, სატელევიზიო კომპანია ალტ-ინფოს წარმომადგენელი პირები, რომლებიც სატელევიზიო ეთერში ღიად მოუწოდებდნენ მათ მხარდამჭერებს ძალადობისაკენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება საქართველოში - კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ძირითადი ხარვეზები, 2021“ დეტალურად არის მიმოხილული 5 ივლისს განვითარებული ძალადობრივი მოვლენები და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათზე არაეფექტური რეაგირება[2].

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრი - ,,მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება საქართველოში - კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ძირითადი ხარვეზები”, 2021.
http://hrc.ge/files/reports/163RIGHT%20OF%20PEACEFUL%20ASSEMBLY...-geo-%20Main%20flaws%20in%20law%20and%20practice,%202021.pdf

ფოტოს ავტორი: *თინათინ მოსიაშვილი*

2021 წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ევროსაბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მედიაციით მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს უნდა გადაეწყვიტა ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის საკითხი. თუმცა, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მმართველმა პარტიამ შეთანხმების ანულირება მოახდინა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი წინასაარჩევნო გარემოზე გრძელვადიან მონიტორინგს ახორციელებდა საქართველოს სამ რეგიონში - კახეთში, ქვემო ქართლსა და იმერეთში. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ შემაშფოთებელ ტენდენციას წარმოადგენდა მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპოზიციური კანდიდატების დაშინებისა და ზეწოლის

ფაქტები. წინასაარჩევნო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, კვლავ ფიქსირდებოდა ადმინისტრაციული რესურსის, მათ შორის - საჯარო მოხელეებისა და საჯარო სკოლებში დასაქმებული პირების რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების ხშირი შემთხვევები, ასევე - წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წესების დარღვევა მმართველი პარტიის სასარგებლოდ[3]. ადამიანის უფლებათა ცენტრი არჩევნების დღეს 51 კვალიფიციური დამკვირვებლით საქართველოს სამ რეგიონში - კახეთში, ქვემო ქართლსა და იმერეთში დააკვირდა. არჩევნების დღემ, ძირითადად, მშვიდ გარემოში ჩაიარა. თუმცა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მმართველი პარტიის აგიტატორებისა და კოორდინატორების მობილიზება საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე და მათ მიერ ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის კონტროლი[4].

გასული წლების მსგავსად, ადამიანის უფლებათა ცენტრისათვის კვლავ პრიორიტეტულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხვადასხვა ორგანოების წინაშე ადვოკატირება 2008 წლის აგვისტოს ომის მსხვერპლთა უფლებების დაცვის მიზნით. დაახლოებით ექვსი წელია, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გამოძიებას აწარმოებს 2008 წელს საქართველოში ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ სავარაუდო დანაშაულებთან დაკავშირებით. 2021 წლის განმავლობაში ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ შეხვედრაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლებთან, სადაც კვლავ გაესვა ხაზი გამოძიების დროულობის, სისრულისა და ობიექტურობის მნიშვნელობას.

[3] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ,,წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი - ადამიანის უფლებათა ცენტრის ძირითადი მიგნებები", 2021: http://hrc.ge/files/168cinasaarchevno%20periodis%20mopnitoringi.pdf

[4] ადამიანის უფლებათა ცენტრი - ,,2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი": http://hrc.ge/files/reports/183report%20Municipal%20elections%202021-geo.pdf

ადამიანის უფლებათა ცენტრი ასევე მონიტორინგს ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების გამყოფ ხაზებზე მიმდინარე განგრძობად ადამიანის უფლებათა დარღვევებზე. რუსეთის ფედერაციისა და დე ფაქტო ძალების წარმომადგენლები ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე აგრძელებენ უკანონო ბორდერიზაციის პროცესს, რაც ადგილობრივ მოსახლეობას უზღუდავს წვდომას ბუნებრივ რესურსებსა და საარსებო წყაროებზე. გრძელდება ასევე მათ მიერ მოქალაქეთა უკანონო დაკავებისა და გატაცების შემთხვევები. ოკუპაციიდან გამომდინარე, პრობლემების გარდა, ოკუპაციის ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს განიცდის. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ჩვეულ მოვლენას წარმოადგენს მოშლილი გზები, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების გაუმართაობა, სამედიცინო დახმარების ხელმიუწვდომობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა. 2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა რეგიონში არაერთი ასეთი სოფელი მოინახულეს და გაესაუბრნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. სოფლებში

დაფიქსირებულ პრობლემებთან დაკავშირებით ორგანიზაციამ მიმართა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს უფლებადარღვეული მოქალაქეების ინტერესების დაცვას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ორგანიზაციის მიერ 2021 წელს სასამართლოში გაიგზავნა საჩივრები, ასევე - შეპასუხებები მთავრობის პოზიციებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განმტკიცებული ფუნდამენტური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, როგორიც არის: სიცოცხლის უფლება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა, უფლება სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებაზე, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება.

ნინო ტლაშაძე,
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

ახალი კორონავირუსის - COVID 19-ის პანდემიის გამო, წინა წლის მსგავსად 2021 წელიც მთელი მსოფლიოსთვის ძალიან რთული გამოდგა. თუმცა, გასული წლის გამოცდილება დაგვეხმარა ჩვენი საქმიანობა შეუფერხებლად და აქტიურად განგვეხორციელებინა. შესაბამისად, ორგანიზაციამ წარმატებით გააგრძელა მუშაობა მოქალაქეების უფლებების დაცვის მიმართულებით. დავიწყეთ

ახალი პროექტებიც და გავმართეთ მნიშვნელოვანი შეხვედრები როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

2021 წელს კიდევ უფრო დამძიმდა ადამიანის უფლებების მდგომარეობა, რასაც ამწვავებდა პოლიტიკური დაძაბულობა და პოლარიზებული საზოგადოება. საზოგადოებრივი მოვლენები საკმაოდ დრამატულად ვითარდებოდა მთელი წლის განმავლობაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები თითქმის ყველა მოვლენის ცენტრში ვიყავით - ვაგრძელებდით სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პროცესების მონიტორინგს საერთო სასამართლოებში, ვიცავდით სამართალდამცავი სტრუქტურების, პროკურატურის ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზარალებულ ადამიანებს, დავაკვირდით 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებს სამ რეგიონში.

იმისათვის, რომ აქტიურად იყო ჩართული პროცესებში, აუცილებელია, საერთაშორისო პარტნიორებთან - უფლებადამცველ ორგანიზაციებთან და ასევე დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. 2021 წელს ჩვენს პარტნიორ ავტორიტეტულ უფლებადაცვით საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ვამზადებდით ერთობლივ განცხადებებს ქვეყანაში უფლებადამცველების მიმართ გახშირებული თავდასხმების, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის და სხვადასხვა ნიშნით ჩადენილი დისკრიმინაციის ფაქტების გასაპროტესტებლად.

2021 წელსვე ადამიანის უფლებათა ცენტრის გუნდმა მოწვეული ექსპერტების დახმარებით განაახლა ორგანიზაციის სტრატეგია და შეიმუშავა 2022-2025 წლის სამოქმედო გეგმა. გუნდის უნარების გაძლიერების მიზნით, ჩატარდა პროექტების ციკლის მართვის და ფონდების მოძიების ინტენსიური ტრენინგები. დაიგეგმა ახალი პროგრამული მიმართულებები და შემუშავდა საპროექტო განაცხადები.

განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა ახალი კორონავირუსის პანდემიით შექმნილი ვითარების საპასუხოდ უფლებადაცვითი ორგანიზაციის საქმიანობის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ ყველა ახალი პროექტი განხორციელებულიყო შეუფერხებლად და რაც მთავარია - ეპასუხა პანდემიით დაზარალებული ადამიანების გამოწვევებზე. 2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, განახორციელა პროექტი „პანდემიის შედეგების შემსუბუქება მარტოხელა ხანდაზმულებისთვის შიდა ქართლში“. პროექტი მიზნად ისახავდა მარტოხელა ხანდაზმულებისთვის პანდემიის შედეგად

გამოწვეული პრობლემების სამართლებრივი მოგვარების ხელშეწყობას, ხანდაზმულთა საჭიროებების კვლევას, კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების სხვადასხვა უწყებებთან წარდგენას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოიკვლია ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შიდა ქართლის რეგიონში და მათ წინაშე არსებული სამართლებრივი

პრობლემები. პროექტის ფარგლებში, პირდაპირი ვიზიტით გამოიკითხა შიდა ქართლში მცხოვრები 283 მარტოხელა/მარტოდ მცხოვრები ხანდაზმული, მათ შორის - 207 ქალი და 76 კაცი. იდენტიფიცირებული პრობლემების ადვოკატირების მიზნით გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან როგორც ცენტრალური ხელისუფლების ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე.

პროექტში ჩართულმა 8 ახალგაზრდა მოხალისემ სამოქალაქო ინიციატივის ფარგლებში შეაგროვეს თანხა შემოწირულობებით და საყოფაცხოვრებო ნივთებით და პროდუქტებით დაეხმარნენ სოფელ ხურვალეთში მცხოვრებ ვალია ვანიშვილს, რომელიც მეუღლის, დათა ვანიშვილის გარდაცვალების მერე გამყოფი ხაზმის მიღმა არსებულ სახლში მარტოდმარტო დარჩა.

2021 წელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის უფასო იურიდიული დახმარების სამსახური არა მარტო კონკრეტულ ბენეფიციარებს ეხმარებოდა მათი დარღვეული უფლებების აღდგენაში, არამედ სტრატეგიული სამართალწარმოებისა და ადვოკატირების გზით განაგრძობდა საკანონმდებლო ხარვეზების, სამართალდამცავი სისტემის მანკიერი პრაქტიკის შეცვლასა და სასამართლო სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი

ხარვეზების იდენტიფიცირებას. ცენტრი, ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით, 15 წელზე მეტია, წარმატებით ახორციელებს უფასო იურიდიული დახმარების პროექტს. თბილისის სათაო ოფისის, კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონული ოფისების 5 პროფესიონალი

იურისტისგან შემდგარი გუნდი წლის განმავლობაში ათასობით ადამიანს უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას და ასეულობით მოქალაქის უფლებებს იცავს როგორც ადგილობრივ დონეზე საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე საერთაშორისო დონეზე - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში და გაეროს კომიტეტებში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს აქტიურ მუშაობას მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით. წლების მანძილზე ორგანიზაცია ჩართული იყო ან ახორციელებდა პროექტებს აფხაზ და ოს პარტნიორებთან ერთად. მონაწილეობდა სამშვიდობო დიალოგებში და სხვადასხვა შეხვედრებში. 2021 წელს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდის - Zivik-ის მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გააგრძელა პროექტი „მშვიდობის მშენებლობის მხარდაჭერა თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის“. 2021 წელს ორგანიზაციამ შეძლო ფიზიკურ გარემოში დაგეგმილი შეხვედრების წარმატებით გამართვა. შედეგად, ზაფხულში, ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა პირველი სამმხრივი სამუშაო შეხვედრა ქართველ, აფხაზ და ოს უფლებადამცველებსა და სამოქალაქო აქტივისტებს შორის სომხეთის ქალაქ წაგხაძორში. ასევე წარმატებით ჩატარდა ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდებისთვის ტრენინგი თურქეთის ქალაქ სტამბოლში ოქტომბერში და შემდეგ მშვიდობის სემინარი ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის და უფლებადამცველებისთვის, ასევე - სტამბოლში, ნოემბერში. ამ შეხვედრებში სულ 42 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით წარმატებული იყო შეხვედრა ახალგაზრდებს შორის.

2021 წელს მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით ადამიანის უფლებათა ცენტრმა, დაიწყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი - „ქართველი და ოსი ხალხების საერთო პრობლემების შესახებ დიალოგი“. პროექტის მიზანია ეთნიკურად ოსი მოქალაქეების საკუთრების და მოქალაქეობის

უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოში, ასევე - ამ უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ხარვეზების იდენტიფიცირება ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები უფასო იურიდიულ დახმარებას უწევდნენ იმ ეთნიკურად ოს მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული მათი საკუთრების რეგისტრაცია და ასევე - მათ, ვისაც სურს, აღიდგინოს/მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. პროექტის დასასრულს მომზადდა ანგარიში, რომელშიც აისახა პროექტის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემები და მიგნებები, მომხადდა რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ.

ამ და სხვა მიღწევების, წარმატებული სამართალწარმოებისა და ადვოკატირების გათვალისწინებით, 2021 წელი ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ვაგრძელებთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას და ძველი და ახალი ინიციატივების განხორციელების გზით, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და ყველა ადამიანის თანასწორობის რწმენით ბრძოლას.

ძველი და ახალი ინიციატივების განხორციელების გზით, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და ყველა ადამიანის თანასწორობის რწმენით ბრძოლას.

ამ და სხვა მიღწევების, წარმატებული სამართალწარმოებისა და ადვოკატირების გათვალისწინებით, 2021 წელი ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ვაგრძელებთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას და ძველი და ახალი

ინიციატივების განხორციელების გზით, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და ყველა ადამიანის თანასწორობის რწმენით ბრძოლას.

უჩა ნანუაშვილი
პროექტის დირექტორი

ადამიანის უფლებათა ცენტრი დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქსელებთან. დღესდღეობით, ორგანიზაცია არის ისეთი ცნობილი საერთაშორისო ქსელების წევრი, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია, მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს (IPB) და სხვა.

საერთაშორისო ორგანიზაცია - ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი უკვე არაერთი წელია, ცენტრის სტრატეგიული პარტნიორი და დონორია. კომიტეტი მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობდა და ხელს უწყობდა ადამიანის უფლებების დაცვას რეგიონში.

2021 წელს კომიტეტის მხარდაჭერით ცენტრი აგრძელებდა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგს და ადვოკატირებას. პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა.

ახალგორში ჰუმანიტარული კრიზისი მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ადგილობრივ მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად აწვებოდა ის შედეგები, რაც გამოიწვია 2019 წელს ახალგორისა და თბილისის კონტროლირებადი ტერიტორიის დამაკავშირებელი გადასასვლელის სრულად დაკეტვამ. ადამიანების თავისუფალი გადაადგილების შესაზღუდად არაერთი ხელოვნური ბარიერი იყო შექმნილი ასევე აფხაზეთში, გადაადგილებისთვის „აუცილებელი“ დამატებითი დოკუმენტაციის შემოღების და საკონტროლო-გამშვები პუნქტების არაპროგნოზირებადი და გრძელვადიანი დახურვის ჩათვლით.

სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, უკანონო „ბორდერიზაციის“ შედეგად არაერთმა ადამიანმა დაკარგა კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა. ბორდერიზაციის გამო, ირღვევა საკუთრების, გადაადგილების თავისუფლების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავებების პრაქტიკა გრძელდებოდა და ასობით ადამიანი ამ წელსაც გახდა აღნიშნული პოლიტიკის მსხვერპლი. დღემდე პატიმრობაში რჩება 2020 წლის 30 სექტემბერს, გალში აფხაზეთის დროშის დაწვისთვის დაკავებული ირაკლი ბებუა, ისევე როგორც ცხინვალში დაკავებული საქართველოს რამდენიმე მოქალაქე.

სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური დევნის მსხვერპლია ახალგორელი აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი. მის საქმეში იკვეთებოდა გადაადგილებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და დისკრიმინაცია, რომელიც კვლავ რეაგირების გარეშე იყო დარჩენილი.

წინა წლებში გამყოფ ხაზთან ან მიმდებარე ტერიტორიებზე მომხდარი მკვლელობის/გარდაცვალების ფაქტები კვლავ არ არის გამოძიებული და დამნაშავეები არ დასჯილან.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო აგრძელებს 2008 წლის ომის დანაშაულების გამოძიებას. 2021 წელს ცენტრი, სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით, ცდილობდა ომით დაზარალებულთა ინტერესების დაცვას და ადვოკატირებას, მათ შორის - FIDH-ის და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა საერთაშორისო კოალიციის დახმარებით.

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი პროექტი სამართლებრივ დახმარებას უწევდა 2008 წლის ომის მსხვერპლთ და დევნილებს კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან. გრძელდებოდა მონიტორინგი როგორც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე - დევნილთა ჩასახლებებში. ცენტრმა შეისწავლა გარდაბნის მუნიციპალიტეტში და მარნეულის მუნიციპალიტეტის დაბა შაუმიანში მცხოვრები დევნილების მდგომარეობა.

პანდემიამ მნიშვნელოვნად გაართულა საერთაშორისო ადვოკატირების შესაძლებლობები, მაგრამ სწორედ საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მათი დახმარებით გაიმართა ონლაინ-რეჟიმში სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეხვედრა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციასთან (FIDH) ერთად, არაერთი შეხვედრა ჩატარდა, მათ შორის ევროპარლამენტის წევრებთან, ევროკომისიის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების და ცვლილებების ადვოკატირების მიზნით.

2021 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა ცენტრის და FIDH-ის ერთობლივი დოკუმენტი[5], რომელშიც შეფასებულია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემო და პოლიტიკური მდგომარეობა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, მშვიდობიანი შეკრების უფლების, უკანონო მიყურადების ბრალდებების კუთხით არსებული პრობლემები.

ცენტრი აგრძელებდა თანამშრომლობას წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაციასთან (OMCT).

2021 წლის ნოემბერში ცენტრი კიდევ ერთი საერთაშორისო ქსელის წევრი გახდა - მიწის საერთაშორისო კოალიციის (International Land Coalition) მე-9 ასამბლეამ ადამიანის უფლებათა ცენტრი კოალიციის წევრად აირჩია. კოალიცია მიწის მართვის და მიწის მესაკუთრეთა უფლებებზე აქტიურად მუშაობს და 250 წევრ ორგანიზაციას აერთიანებს მსოფლიოში. ცენტრი კოალიციასთან თანამშრომლობით ხელს შეუწყობს მიწაზე, მათ შორის - გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე საკუთრების უფლებების განხორციელებას, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვას, საკუთრების უფლების დაცვას, მიწის უფლების პოპულარიზებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესებას, ბუნებრივი რესურსების სწორ გამოყენებას. ეს ის თემებია, რაზეც განსაკუთრებით აქტუალურია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება.

ადამიანის უფლებათა სახლების ფონდთან (HRHF) და სახლების ქსელთან ვაგრძელებდით აქტიურად თანამშრომლობას. მათი მხარდაჭერით, მომზადდა ცენტრის ახალი ხუთწლიანი სტრატეგია

[5] იხ. დოკუმენტი: სიახლეები საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. FIDH, HRC: http://www.hrc.ge/284/geo/

და სამოქმედო გეგმა. უფლებადამცველთა გაძლიერების კუთხით ასევე სხვადასხვა ღონისძიებებში ვიყავით ჩართული და ვეხმარებოდით უფლებადამცველებს და სამოქალაქო აქტივისტებს.

გაგრძელდა თანამშრომლობა სამოქალაქო სოლიდარობის პლატფორმასთან (CSP), რომელიც რეგიონში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე აგრძელებდა რეაგირებას და ადვოკატირებას რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

ნესტან ლონდარიძე
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
იურიდიულ საკითხებში

ადამიანის უფლებათა ცენტრი უფასო იურიდიული დახმარების ფარგლებში წარმატებით აგრძელებს საადვოკატო მომსახურებას, ასევე - პირად, სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებს სხვადასხვა სოციალური ქსელის გამოყენებით. ცენტრის იურისტები ოპერატიულად ერთვებიან ყველა საქმეში, სადაც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა იკვეთება, სადაც სახელმწიფო, როგორც ინსტიტუციური სისტემა, მოქალაქეს უპირისპირდება და მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები რისკის ქვეშ დგება. ორგანიზაცია უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს ბენეფიციარებს, რათა დაცული იყოს მათი უფლებები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კონსტიტუცია ფუნდამენტურ უფლებად აღიარებს და იცავს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას, მაგრამ პრაქტიკაში ჩვენ ვხედავთ, რომ ამ უფლებებს ხშირად ემუქრება არამართლზომიერი და უკანონო ჩარევის საფრთხე.

2021 წელს მნიშვნელოვან პრობლემად დარჩა სამართალდამცავი ორგანოების მიერ საპროტესტო აქციების მონაწილეების მასობრივი დაკავების პრაქტიკა, დაკავებული პირების ხანგრძლივი ვადით დაყოვნება პოლიციის ავტომობილებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში მათი დაგვიანებით გადაყვანა და ამ პროცესში დაკავებულების ადვოკატთან წვდომის შეზღუდვა.

შეკრებებისა და მანიფესტაციების მართვის პროცესში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საპოლიციო ძალის პროპორციულ და თანაზომიერ გამოყენებას, რაც მთელ რიგ შემთხვევებში კითხვებს ტოვებდა.

ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით, პარტნიორმა ორგანიზაციებმა: ადამიანის უფლებათა ცენტრმა, საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, „უფლებები საქართველომ“ დაიწყეს ერთობლივი პროექტი - „იურიდიული დახმარების ქსელი აქტივისტებისათვის“. პროექტის მიზანია სამოქალაქო აქტივისტების დაცვა უკანონო დევნისგან, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამოქალაქო აქტივიზმისა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისთვის უფრო ხელსაყრელ გარემოს.

პარტნიორმა ორგანიზაციებმა განხილული მიზნების მისაღწევად, შექმნეს იურიდიული დახმარების ერთიანი ქსელი.

განსაკუთრებულ პრობლემად შეიძლება, დასახელდეს საპროტესტო აქციებზე საპოლიციო ძალების არაპროპორციულ გამოყენების შედეგად დაზარალებული პირებისათვის დაზარალებულის

სტატუსის მინიჭება სამართალწარმოების პროცესში და შემდგომ ამ სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა. 2021 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებს რამდენიმე ასეთი სტრატეგიული საქმე ჰქონდათ. მათ შორის ჟურნალისტების მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ხელშეშლის საქმეები. ამ კუთხით ადამიანის უფლებათა ცენტრი განაგრძობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არაერთი საქმის წარმოებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაშია სამი სარჩელი, რომელიც 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს უკავშირდება. ადამიანის უფლებათა ცენტრი შსს-ს მიერ დარბეულ დემონსტრაციაზე ევროპული კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების დარღვევის დადგენას ითხოვს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის უფასო სამართლებრივი დახმარება, 2021 წ.	
კონსულტაციები	6769
წარმოებაში აღებული საქმეები	200
წარმატებით დასრულებული საქმეები	125
პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტი	14

ეკა ქობესაშვილი

იურიდიული სამსახურის უფროსი

ადამიანის უფლებათა ცენტრის გუნდის წევრი 2009 წლიდან გავხდი, 2021 წლიდან კი ორგანიზაციაში იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის პოზიცია მიკავია. ჩემი ძირითადი მოვალეობაა პირადი და სატელეფონო კონსულტაციების გაწევა, საადვოკატო მომსახურება, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიმართულებით მუშაობა, იურიდიული ჯგუფის მუშაობის პრიორიტეტების განსაზღვრა და კოორდინაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ხედვით, ყველას აქვს უფლება დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლით უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ამ უფლებებისა და კანონის უზენაესობის რეალიზაცია და დაცვა წარმოადგენს საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის შენების წინაპირობას.

მიზნების მისაღწევად, სხვა საქმიანობებთან ერთად, ორგანიზაცია მოქალაქეებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მათი უფლებების დასაცავად უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს.

უფასო იურიდიული დახმარების პროექტის ფარგლებში ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა რეზონანსულ საქმეში, როგორიცაა: თბილისში, 2020 წელს გარდაცვლილი პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის საქმე; 2021 წელს 5 ივლისის აქციაზე დაზარალებული ჟურნალისტების საქმეები; ულტრამემარჯვენე, ექსტრემისტული ჯგუფების თბილისის ადამიანის უფლებათა სახლზე თავდასხმის საქმე; უკანონო მოსმენების საქმეები; დაზარალებული სამოქალაქო აქტივისტების უკანონო დაკავებები და სხვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამუშაო მიმართულებას წარმოადგენს პოლიციის და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი. ორგანიზაციის იურისტები სისტემატიურად სწავლობენ დახურული ტიპის დაწესებულებებში მოქალაქეების მიმართ ძალადობის და სხვა უფლებადარღვევის ფაქტებს და საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულებს ეხმარებიან. პანდემიის პირობებში განსაკუთრებული რისკის ქვეშ დადგა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირების ადვოკატთან კონფიდენციალური შეხვედრის შესაძლებლობა. მსჯარდებულები კი მოკლებული არიან ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამებს.

2021 წელს, წინა წლების მსგავსად, სისხლის სამართლის საქმეებზე განსაკუთრებულ პრობლემად შეიძლება დასახელდეს დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სამართალწარმოების პროცესში და შემდგომ ამ სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

ორგანიზაცია წლების განმავლობაში მუშაობს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე. ცენტრი აქტიურად აწარმოებდა პოლიციის განყოფილებებში და პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების, ასევე უკანონო მსჯავრდების შედეგად გამართლებული პირების საქმეებს.

კონსტიტუცია ფუნდამენტურ უფლებად აღიარებს და იცავს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას, მაგრამ 2021 წელს არაერთხელ დაფიქსირდა ძალოვანი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან უფლებებში არამართლზომიერი და უკანონო ჩარევის ფაქტები. პრობლემის სათავე არის საბჭოთა პერიოდში მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომლის მოთხოვნებიც არ პასუხობს დემოკრატიულად განვითარებული ქვეყნის მოთხოვნებს და წარმოადგენს თავისუფალ აზრთან და დემონსტრაციების მონაწილეებთან დაპირისპირების რეპრესიულ მექანიზმს. დღესაც, გასული წლების მსგავსად, აქტიურად გამოიყენება მშვიდობიანი შეკრების წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები.

<u>პროექტი:</u> „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი“ <u>დონორი:</u> ევროპული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED)	
<u>თბილისის, შიდა ქართლის და კახეთის ოფისების სამართლებრივი დახმარება, 2021 წ.</u>	
კონსულტაციები	5260
წარმოებაში აღებული საქმეები	84
სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში	4
სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში	2
წარმატებით დასრულებული	29
პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტი	14

დიმიტრი ნოზაძე,
იურისტი

ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRC), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) ერთობლივი პროექტი - „დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში“ ითვალისწინებდა იმ მოქალაქეთა დახმარებას, რომლებიც პანდემის დროს სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემა შეექმნათ, დაზარალდნენ სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის - პოლიციის მხრიდან ან დაკარგეს სამსახური.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეებიდან გაირკვა, კერძო სექტორში სამსახურებიდან განთავისუფლება ძირითადად ხდებოდა დაუსაბუთებლად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების და განთავისუფლების შესახებ ბრძანების გარეშე. განთავისუფლების შემდეგ კომპანია უარს ეუბნებოდა დასაქმებულს კომპენსაციის გადახდაზე, ფორმალურად ატარებდა რეორგანიზაციას, აუქმებდა ანდა ამცირებდა საშტატო ერთეულს. სახელმწიფო სექტორში სამსახურიდან განთავისუფლება ხდებოდა ფორმალურად გამოცხადებული რეორგანიზაციის ან/და კადრების შემცირების მიზეზით. შემდგომ ფორმალურად ცხადდებოდა და ტარდებოდა კონკურსი, სადაც მონაწილეობდნენ გათავისუფლებული თანამშრომლები. ტესტებში მიღებული მაღალი შეფასების შემდეგ, ისინი დაბალ შეფასებას იღებდნენ გასაუბრებაში. საჯარო სამახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანებათა უმეტესობა შაბლონური და

დაუსაბუთებელი იყო, არ ეწერა, რა გახდა ამა თუ იმ პირის სამსახურიდან განთავისუფლების რეალური საფუძველი.

სამსახურიდან გათავისუფლებული მოქალაქეები, დარღვეული უფლების აღსადგენად, მიმართავდნენ სასამართლოს, სადაც მოპასუხე მხარე - დამსაქმებელი კომპანია უარს აცხადებდა მორიგებაზე, არ აღიარებდა მის მიერ მოსარჩელის უკანონო და დაუსაბუთებელ განთავისუფლებას. პროცესზე მოპასუხეთა უმეტესობამ ვერ წარადგინა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანება მათი არარსებობის გამო. სასამართლო პროცესები გაიწელა დროში, ხშირად უკვე ჩანიშნული სხდომები კვლავ გადაიდო დიდი დროით. ამის მიზეზი ხშირად იყო მოპასუხე მხარის - დამსაქმებლის გამოუცხადებლობა სასამართლოში. სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში, ნაწილობრივ აკმაყოფილებდა მოქალაქეთა სარჩელს, კერძოდ: კომპანიას აკისრებდა კომპენსაციის ან/და განაცდურის ანაზღაურებას დასაქმებულის სასარგებლოდ, მაგრამ მოსარჩელეს უარს ეუბნებოდა სამსახურში აღდგენაზე, ვინაიდან შტატი, სადაც მოსარჩელე იყო დასაქმებული, გაუქმებული იყო ან მის ადგილზე უკვე სხვა მუშაობდა. იმ პროცესებზე, სადაც მოპასუხე სახელმწიფო უწყება იყო, ხშირად საქმე უკან განსახილველად უბრუნდებოდა მოპასუხე დამსაქმებელს. ასეთ შემთხვევებში კი, დამსაქმებელი, როგორც წესი, ფორმალურად იხილავს საქმეს და დასაქმებული მისგან კვლავ უარს იღებს სამსახურში აღდგენაზე, კომპენსაციის მიღებაზე თუ განაცდურის ანაზღაურებაზე, რაც იწვევს სასამართლოსთვის განმეორებით მიმართვის საჭიროებას.

პანდემიის დროს იყო შემთხვევები, როდესაც პოლიცია მოქალაქეებს უსაფუძვლოდ აჯარიმებდა 2000 ლარით, იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევის გამო. პოლიციის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უმეტესწილად შედგენილი იყო შაბლონურად და არ იყო გამაგრებული მტკიცებულებებით. მოქალაქეები საჩივრით მიმართვდნენ საპატრულო

პოლიციას და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ითხოვდნენ უკანონოდ გამოწერილი ჯარიმის გაუქმებას. საპატრულო პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო წარდგენილ საჩივრებს განიხილავდა ფორმალურად და უარს ამბობდა მათ დაკმაყოფილებაზე. შსს-ს და საპატრულო პოლიციის უარი მოქალაქეთა მიერ საჩივრდებოდა სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით, სასამართლომ განიხილა დაჯარიმებულ მოქალაქეთა საჩივრების ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებს შემდეგში სახელმწიფომ დაკისრებული ჯარიმები ჩამოაწერა, სასამართლოს 2022 წლისთვისაც ჯერ კიდევ არა აქვს განხილული დარჩენილი საჩივრები.

ლაზარე ჯიბლაძე,
ანალიტიკოსი

2021 წელს ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, მრავალი ღონისძიება და შეხვედრა კვლავაც ვირტუალურ სივრცეში ჩატარდა. მიუხედავად სირთულეებისა, ადამიანის უფლებათა ცენტრი წელსაც აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის და კვლევის მიმართულებით, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის: თანასწორობა, დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, არასრულწლოვნების, ქალების, ლგბტქ+ პირების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების,

ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრები ადამიანებისა და სხვა ჯგუფების უფლებათა დაცვა და ა.შ.

გასული წლის მსგავსად, 2021 წელს ჩემი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების ანალიზს, სამართლიანობისა და თანასწორობის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და მასთან ბრძოლის გზების დასახვას დაეთმო.

2021 წელს მოვამზადე ანალიტიკური დოკუმენტები, რომლებიც სხვადასხვა ინსტიტუციისა თუ მათი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შესწავლას, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებსა და ორგანიზაციის სტრატეგიული სამართალწარმოების მიზნებს მიესადაგებოდა. ეს დოკუმენტები პრობლემათა იდენტიფიცირების კომპონენტის გარდა, მოიცავს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს სხვადასხვა უწყებებისადმი, რომელთა შესრულებაც ადამიანთა უფლებების დაცვის სტანდარტის გაზრდას შეუწყობს ხელს.

2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებრივ პლატფორმასა და კოალიციასთან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ცენტრი კვლავ აირჩიეს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთის“ კოალიციის მმართველ კომიტეტში.

2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სხვადასხვა ორგანიზაციასთან პარტნიორობის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო ჩრდილოვანი ანგარიშების მომზადებისა თუ სხვა სახის დოკუმენტების მომზადების კომუნიკაციებში, სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმის გამოყენებით, ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის („გრევიო“)

პირველი ვიზიტი განხორციელდა საქართველოში, რომელიც მხარეთა მიერ „სტამბოლის კონვენციის“ შესრულების მონიტორინგს ახორციელებს. ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ამ ვიზიტამდე, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რამდენიმე ანგარიში მოამზადა.

2020 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა კავშირ „საფართან“ ერთად, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (CEDAW) მიმართა ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე. 2021 წელს კი ამ საქმესთან დაკავშირებით CEDAW-ს პრეცენდენტული გადაწყვეტილება გამოქვეყნდა. გაეროს კომიტეტმა სრულად გაიზიარა განმცხადებელი ორგანიზაციების პოზიცია, სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. მეტიც, კომიტეტი არა მხოლოდ ამ საქმესთან დაკავშირებული რეკომენდაციებით შემოიფარგლა, არამედ შეიმუშავა ზოგადი რეკომენდაციებიც ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად და მისი პრევენციისთვის. ადამიანის უფლებათა ცენტრი, კვლავ არ დაიშურებს ძალისხმევას, წვლილი შეიტანოს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის სისტემურ აღმოფხვრაში.

2021 წელს პოლიტიკური კრიზისის ფონი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო დამძიმდა. ამდენად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა არჩევნების დაკვირვებაც იყო. მონიტორინგმა სრულად მოიცვა როგორც წინასაარჩევნო პროცესის, ისე არჩევნების დღის მონიტორინგი. ამ კონტექსტში, 2021 წელსაც აქტიურად ვითანამშრომლეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, სადაც პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან, მასთან დაკავშირებული სპეციალური რეგულაციების მომზადებაში, პოლიტიკური სუბიექტების ეთიკის კოდექსის შექმნასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ვიყავით ჩართულები. მონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებით, მოვამზადეთ

სპეციალური ანგარიში[6], რომელიც მონიტორინგის შედეგებთან ერთად, საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებისკენ მიმართულ კონკრეტულ რეკომენდაციებსაც მოიცავს.

2021 წლის დასასრულს, ტრადიციულად, მოვამზადე ადამიანის უფლებათა ცენტრის ყოველწლიური ანგარიში[7], რომელშიც 2021 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ფართოდ არის მიმოხილული და მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვისა თუ დარღვევის მიმართულებით გამოვლენილი ტენდენციების, საკანონმდებლო საქმიანობისა და ამასთან, საჭიროებების შეფასებას.

ლია ხუროშვილი
კახეთის ოფისის კოორდინატორი

2021 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისი აქტიურად იყო ჩართული რამდენიმე პროექტში. პროექტის - „უფასო იურიდიული ადვოკატირება და ადამიანის უფლებათა მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ“ ფარგლებში, ვსწავლობდით კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული საგანგებო მდგომარეობისა

[6] იხ. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი, 2021; ადამიანის უფლებათა ცენტრი: http://www.hrc.ge/329/geo/ .

[7] იხ, ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2021; ადამიანის უფლებათა ცენტრი: http://hrc.ge/files/191annual-geo%202021.pdf .

და მისი დასრულების შემდეგ პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს. ამ მიზნით ცენტრის იურისტის მიერ არაერთი გასვლითი ვიზიტი განხორციელდა კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში. გამოვავლინეთ არაერთი უფლების დარღვევის ფაქტი და კვალიფიციური იურიდიული დახმარება გავუწიეთ უფლებადარღვეულ ადამიანებს, როგორც კონსულტაციებით, ასევე ადმინისტრაციული საჩივრებისა და სასამართლოში სარჩელების წარდგენის გზით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისი მოქალაქეებს იურიდიულ დახმარებას სთავაზობს - უფასო კონსულტაციებს და სასამართლოებში წარმომადგენლობას. ოფისის წარმოებაშია საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოქალაქეების სარჩელები გურჯაანისა და სიღნაღის რაიონულ სასამართლოებში, ადმინისტრაციული სარჩელები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

ცენტრის კახეთის ოფისი ჩართულია სასამართლო დავებში, რომელიც ეხება არასრულწლოვნებს, სადაც მოდავე მშობლები არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის და მათთან ურთიერთობის წესის განსაზღვრას ითხოვენ. განსაკუთრებით სენსიტიურია საქმეები, რომლებიც არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ეხება. ამგვარი კატეგორიის საქმეებში ვიცავთ არასრულწლოვანთა ინტერესებს გამოძიებასა და სასამართლოში, აქტიურად ვთანამშრომლობთ სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგთან, რომლებიც არასრულწლოვნებთან მუშაობენ. ვიცავთ, ასევე, ძალადობის მსხვერპლ ქალებს, მათ შორის - ყოფილი ქმრისგან მოკლული ქალის დაზარალებულის უფლებამონაცვლეს.

საქმიანობის ხელისშემშლელ ფაქტორს, პანდემიასთან ერთად, წარმოადგენს სასამართლო სისტემაში უკვე წლობით არსებული პრობლემა. საქმეების განხილვა სასამართლოებში წლობით ჭიანურდება და იმდენ ხანს გრძელდება, რომ ზოგჯერ ადამიანები საქმის მიმართ ინტერესს კარგავენ,

ან იცვლება ფაქტობრივი გარემოებები. მქონდა შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე, რომლის ინტერესებსაც ვიცავდით და საქმე წარმატებით დავასრულეთ, საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვის დროს გარდაიცვალა. საქმეების განხილვის წლობით გაჭიანურება უარყოფითად აისახება უფლებადამდცველების სამუშაო მოტივაციაზეც.

პროექტში „დიალოგი ქართველი და ოსი ხალხების საერთო პრობლემებზე“ გამოვკვეთეთ ის პრობლემები, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მის შემდეგ პერიოდში საქართველოდან წასული ეთნიკური ოსების საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნებას და საკუთრების დაბრუნება/რეგისტრაციას ეხება.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის ფარგლებში, კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში არჩევნებს დავაკვირდით როგორც არჩევნების დღეს, ასევე დამატებით მეორე ტურში. დაიწერა საჩივრები, რომლებიც შემდგომში გასაჩივრდა სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისის საქმიანობის და აქტიურობის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ოფისის ხელმძღვანელი უკვე მეორე ვადით არის არჩეული გურჯაანის მერიის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში.

ალექსი მერებაშვილი
შიდა ქართლის ოფისის კოორდინატორი

2021 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისმა გასწია 2000-ზე მეტი იურიდიული კონსულტაცია. ბენეფიციარებს მიეწოდათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გზებსა და საშუალებებზე. ოფისმა წარმატებით დაასრულა 23 საქმე. შესაბამისად, ბენეფიციარებმა ჩვენი დახმარებით შეძლეს საკუთარი უფლებების დაცვა და დაკმაყოფილდა მათი ინტერესები. ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ უფრო მეტი იციან შიდა ქართლის მასშტაბით, რასაც ასევე ადასტურებს მედიის მიერ ხშირი გაშუქება. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს ცენტრის საქმიანობის არაერთი დადებითი შეფასება. წინა წლების მსგავსად, დადებითად შეფასდა ჩვენი ოფისის საქმიანობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერაც მათთან შეხვედრისას.

ძირითადი პრობლემები, რომლის თაობაზეც 2021 წლის განმავლობაში მოგვმართავდნენ: სოციალური ხასიათის დავები, საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმები, პოლიციელთა მხრიდან უკანონო ქმედებები, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები, დევნილთა და ომის შედეგად დაზარალებულ პირთა პრობლემები, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები, შრომითი დავები საჯარო და კერძო დაწესებულებებთან, საკრედიტო და კერძო გამსესხებლების მიმართ არსებული დავები, მათ შორის - პანდემიის პერიოდში უფლებათა დარღვევების ფაქტებზე.

წარმატებული საქმეებიდან აღსანიშნავია გელა თუხარელის საქმე - საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოქალაქეს უარს უცხადებდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის ნაკვეთების დარეგისტრირებაზე სრულიად უსაფუძვლოდ. შევძელით და საჩივრის წარდგენით სააგენტო დავარწმუნეთ ჩვენი მოთხოვნის მართებულობაში და თუხარელს დაურეგისტრირდა 1 ჰა-ზე მეტი მიწის ნაკვეთი. მნიშნელოვანი იყო სამოქალაქო აქტივისტებისა და პოლიტიკოსების საქმეები, კერძოდ, ალბერტ მერებაშვილის საქმე, რომელიც პარლამენტის წინ კარვის გაშლის შეზღუდვისას პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და ედავებოდნენ დაუმორჩილებლობას. საქალაქო სასამართლომ შეწყვიტა საქმე. მასვე პოლიცია მარნეულის მერიის წინ გამართული აქციის გამართვისას ედავებოდა ხულიგნობასა და პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. აქაც შეწყვიტა საქმე ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ. პოლიტიკური პარტია „გირჩის“ წევრების მიერ გორის რაიონულ სამმართველოსთან გამართულ აქციაზე დაკავებულ ბადრი გრიგალაშვილსა და ზურაბ ხომერიკსაც დაუმორჩილებლობას ედავებოდა პოლიცია და დააკავეს კიდეც ისინი 48 საათის განმავლობაში. სასამართლომ ზურაბ ხომერიკის მიმართ შეწყვიტა საქმე, ხოლო ბადრი გრიგალაშვილს სანქციის ნაცვლად სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა. მნიშვნელოვანი იყო, ასევე, სურამში მომხდარი ფემიციდის საქმეში დაზარალებული მხარის ინტერესების დაცვა. ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სამი შვილის დედის განზრახ მკვლელობისათვის. ადამიანის უფლებათა ცენტრმა წარმატებით დაასრულა სამი დევნილის საქმე, საიდანაც ორისთვის ბინის გადაცემა დაევალა დევნილთა სააგენტოს, ხოლო ერთთან მიმართებით დაადგინა, რომ ის არ ითვლებოდა დაკმაყოფილებულად და მისი საქმის შესწავლა დაევალა ამავე სააგენტოს. აღსანიშნავია ოლეგ ხუბულურის წარმატებული საქმეც, სადაც სასამართლომ უკანონოდ ცნო გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება ხუბულურის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ

და დაევალა უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლის სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

2021 წლის განმავლობაშიც რთული აღმოჩნდა სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ჩადენილი უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ამის ნათელი დასტურია დავით ჭალიძის საქმე, სადაც მიუხედავად იმისა, რომ დაიწყო გამოძიება მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულებზე, გამოძიება არ მიმდინარეობს ეფექტურად და არც დაზარალებულად უცვნიათ. ამის გამო, მივმართეთ კიდეც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

მნიშვნელოვან სირთულეს ისევ წარმოადგენს გაჭიანურებული სასამართლო დავები. არაერთი მიმართვის მიუხედავად, არ ინიშნება პროცესები სხვადასხვა საქმეებზე, მათ შორის - გარემოსდაცვით საკითხებზე წარდგენილ საქმეებზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მხარდაჭერით, სამართლებრივ დახმარებას უწევდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ მოსახლეობას, იკვლევდა მათ საჭიროებებს.

ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, ასევე, იურიდიული დახმარება გავუწიეთ მოქალაქეებს პანდემიის შედეგად დარღვეული უფლებების დაცვასა თუ აღდგენაში. იურიდიული კონსულტაციებითა და სასამართლო წარმოადგენლობით სარგებლობდნენ ის ბენეფიციარები, რომლებმაც პანდემიის დროს დაკარგეს სამუშაო ადგილები, უკანონოდ გაეზარდათ სესხებზე პროცენტები, ვერ მიიღეს კუთვნილი დახმარებები, დაჯარიმდნენ უკანონოდ.

ანა ჩაფიძე

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი

იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში

2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა იმერეთის და სამეგრელოს რეგიონში რამდენიმე პროექტი განახორციელა. პროექტის - „უფასო იურიდიული ადვოკატირება და ადამიანის უფლებათა მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ“ ფარგლებში, ორგანიზაციის წარმომადგნელებმა იმერეთის და სამეგრელოს რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს უფასო სამართლებრივი დახმარება გაუწიეს, კვალიფიციური კონსულტაციებით და ადმინისტრაციულ ორგანოებში თუ სასამართლოებში წარმომადგენლობით. პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა საპატრულო პოლიციის მიერ უკანონოდ გამოწერილი ჯარიმების და საბანკო სესხების დაფარვის შეფერხებებთან დაკავშირებული პრობლემები.

2021 წლიდან ადამიანის უფლებათა ცენტრი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს პროექტს - „იურიდიული დახმარების ქსელი აქტივისტებისთვის“. პროექტის ფარგლებში, უფასო იურიდიული დახმარება გაეწია იმერეთის და სამეგრელოს რეგიონში მცხოვრებ სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივისტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა საპროტესტო აქციებში. გაწეული იურიდიული დახმარების შედეგად რამდენიმე საქმე წარმატებით დასრულდა, ხოლო საქმეების ნაწილი ახლაც მიმდინარეობს სასამართლოებში.

წარმატებული საქმეებიდან აღსანიშნავია სამოქალაქო აქტივისტის სოფიო ბასილაძის საქმე. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 16 თებერვლის დადგენილებით, პოლიციის მე-2 განყოფილების მოთხოვნა ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დააკმაყოფილა და სოფიო ბასილაძე ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლით და დააკისრა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. ჩვენი დახმარებით, ეს დადგენილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი გაუქმდა.

ასევე წარმატებით დასრულდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის თორნიკე ერისთავის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. 2021 წლის 23 დეკემბრის ვანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი 2021 წლის 30 მარტს თორნიკე ერისთავის მიმართ გამოცემული დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, რომლის საფუძველზეც მას შეუჩერდა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა 6 თვის ვადით.

2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი იმერეთის და სამეგრელოს რეგიონებში ასევე დააკვირდა 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. აშშ-ის გერმანული მარშალის ფონდის პროექტის „შავი ზღვის ფონდის“ მიერ მხარდაჭერილი მონიტორინგი მოიცავდა როგორც უშუალოდ კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესზე, ისე არჩევნებზე გრძელვადიან დაკვირვებას.

გიორგი კაკუბავა

მონიტორინგის პროექტის ხელმძღვანელი

2020 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის დეკემბრამდე ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის *„იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგის“* ფარგლებში ორგანიზაციის მონიტორინგის ქვეშ მოექცა 42 სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე[8], ასევე - 29 საპროტესტო აქცია. პროექტის ფარგლებში 6 ანალიტიკური ანგარიში მომზადდა, ასევე - ერთი შუალედური ანგარიში და საბოლოო ანგარიში. 2021 წელს 11 თვის განმავლობაში ორგანიზაციის მონიტორები ჯამში 140 სასამართლო სხდომას დააკვირდნენ. 42 საქმიდან, ნაწილი დასრულებულია, ნაწილი კი, თბილისის საქალაქო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოებში კვლავ მიმდინარეობს. კოვიდ პანდემიის მიუხედავად, ორგანიზაციის 3 იურისტ/მონიტორი აქტიურად აკვირდებოდა, როგორც სასამართლო სხდომებს, ასევე საპროტესტო აქციებს.

2022 წლის 21 იანვარს ორგანიზაციამ პროექტის ფარგლებში კონფერენცია გამართა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშები, რომლებიც ასახავს სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესების და საპროტესტო აქციების

[8] იხ. 42 სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმე ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ: http://www.hrc.ge/333/geo/

მონიტორინგის შედეგებს. კონფერენციაზე ასევე თავიანთი დაკვირვებები და მიგნებები წარმოადგენს პარტნიორმა ორგანიზაციებმა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRC) და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) წარმოადგენლები 2021 წლის 11 და 19 ოქტომბერს პროექტის - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგის“ ფარგლებში შეხვდნენ ევროპარლამენტის წარმომადგენლებს. შეხვედრა ორგანიზებული იყო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის მიერ, რომლის წევრიც არის ადამიანის უფლებათა ცენტრი. შეხვედრისას ცენტრის წარმომადგენლებმა მოხსენებები გააკეთეს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მიმდინარეობის შესახებ და ორგანიზაციის მიერ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე მომზადებული ანგარიშების შესახებ. ამასთანავე, შეკრებისა და მანიფესტაციის კუთხით მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზებზე და ტენდენციებზე. საუბარი ასევე წარიმართა მართლმსაჯულების მიმართულებით არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების შესახებ. ერთ-ერთ ძირითად საკითხად გამოიყო საქართველოში 2021 წლის 2 ოქტომბერს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

გიორგი ტყებუჩავა
იურისტი, ანალიტიკოსი

2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრში ჩემი საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა პროექტის - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგის“ ფარგლებში, რომელიც აშშ-ის ფონდის - „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ *(National Endowment for Democracy)* მხარდაჭერით, 1 თებერვლიდან დაიწყო და 31 დეკემბრამდე გაგრძელდა.

სასამართლო მონიტორინგის მიმდინარეობისას მოვამზადე 6 ანალიტიკური დოკუმენტი, 2 შუალედური ანგარიში და 2 შემაჯამებელი ანგარიში სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგისა და 2021 წელს გამართული საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგების შესახებ, რომლებშიც გაანალიზებულია როგორც უშუალოდ სასამართლო პროცესებისა და საპროტესტო აქციების მონიტორინგის მთავარი მიგნებები და ტენდენციები, ისე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების შესწავლისას გამოკვეთილი სხვა პრობლემური საკითხები. თითოეულ დოკუმენტში, ასევე, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასებისთვის გამოყენებულია საერთაშორისო სტანდარტები და სხვადასხვა სახელმწიფოს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები; ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

რელევანტური გადაწყვეტილებების მისადაგების საფუძველზე, გაკეთებულია შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი, რითაც უფრო ნათლად წარმოჩინდა სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემა. აგრეთვე, თითოეულ დოკუმენტში წარმოდგენილია რელევანტური რეკომენდაციები სხვადასხვა აქტორის მიმართ.

2021 წელს კვლავ აქტუალური იყო სამართლიანი სასამართლოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები. ამასთან, 2021 წლიდან იმატა პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულმა სასამართლო პროცესებმა, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე.

წლის განმავლობაში სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოვლინდა მთელი რიგი ხარვეზები სხვადასხვა კუთხით, როგორიცაა: კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ, საჯარო განხილვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პატივისა და ღირსების უფლება, მსჯავრდებულის/ბრალდებულის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, სასამართლო სხდომებზე ბრალდებულის დასწრების უფლება, შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური მოტივები. აგრეთვე, პრობლემური იყო სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება პატიმრის და პაციენტის უფლებების უხეშ დარღვევაში, რაც, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც პატიმრის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

საპროტესტო აქციების მონიტორინგისას კი მწვავე პრობლემად გამოიკვეთა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაში არამართლზომიერი ჩარევის მასობრივი შემთხვევები; არაპროპორციული ძალის გამოყენება საპროტესტო აქციებში მონაწილე დემონსტრანტების მიმართ და ჟურნალისტების საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები/ფიზიკური ძალადობა; LGBTQ+ ადამიანების მიერ გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების საყოველთაო უფლების მატერიალიზების საკითხები.

ანი ფორჩხიძე, *მონიტორი*

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2020-2021 წლებში აკვირდებოდა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე გამართულ სასამართლო სხდომებს. მონიტორინგის პროცესში მონიტორებისთვის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენდა წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელსაც საჭიროებისამებრ, თან ერთვოდა სხდომათა მიმდინარეობისას, მონიტორთა მხრიდან გამოკვეთილი მნიშვნელოვანი საკითხების სამართლებრივი ანალიზი.

2020 წლის მეორე ნახევრიდან, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომების უმეტესობა გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, ნაწილის განხილვა კი მიმდინარეობდა დისტანციურ ან ნახევრადდისტანციურ ფორმატში. სასამართლოში არ

არსებობდა ერთიანი მიდგომა მონიტორთა სხდომაზე დასწრების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპს.

2021 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდგომ, აქტიურად ინიშნებოდა სხდომები ოპოზიციური პარტიების ლიდერთა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე ორი საქმე, სადაც ბრალდებულს თავდაპირველად არ მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა მინიმალური საპროცესო უფლებებით.

მნიშვნელოვანია შეფასდეს, მხარეთა და მოსამართლის ქცევა სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას. საკმაოდ ხშირია მხარეთა მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევები. ისინი ხშირად ცდებიან სამართლებრივ ფარგლებს და პოლემიკაში შედიან მოსამართლესთან. დაფიქსირებულა შემთხვევები, როდესაც მსგავსი დაპირისპირების დროს, მოსამართლე თავს ვერ აკონტროლებს, იმაღლებს ხმას და ნაცვლად წესრიგის დაცვისა, თავადვე გვევლინება წესრიგის დამრღვევად.

აუცილებელია შეფასდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობათა დასაბუთებულობა. ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობაში, ძირითადად, მოცემულია მხოლოდ ფორმალური საფუძვლები. ასევე, ხშირად, არ ხდება გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობა) უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლა.

გასული ორი წლის განმავლობაში სასამართლო სხდომათა უმრავლესობა, ზოგჯერ მხარეთა დაგვიანების ან წინა სასამართლო სხდომის გაჭიანურების გამო, არ იწყებოდა დროულად. ხშირია

ტექნიკური გაუმართაობა სხდომათა დარბაზში: მინის კედლები; სასამართლო დარბაზის მოცულობა; მიკროფონის გაუმართაობა მუდმივად აძნელებდა მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელებას.

ნინო ჩიხლაძე, *მონიტორი*

2021 წელი დატვირთული იყო საპროტესტო აქციებით. პროტესტი, ძირითადად, მმართველი პარტიის გადაწყვეტილებებსა და მათ კრიტიკას მიემართებოდა. 2021 წელს გაგრძელდა არჩევნებთან და მის შედეგებთან დაკავშირებული პროტესტიც.

ფაქტობრივად, ყოველ საპროტესო აქციაზე არსებობდა მოლოდინი, რომ აქტივისტებს დააკავებდნენ. 2021 წელს ტენდენციად ჩამოყალიბდა ათეულობით მოქალაქის დაკავება, რომელთა უმრავლესობა ხელწერილის საფუძველზე რამდენიმე საათში ან მეორე დღეს თავისუფლდებოდა. ზოგიერთი დაკავებულის საქმე კი საქალაქო სასამართლომდეც მიდიოდა და ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ ექცეოდა.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა პროცესი ადმინისტრაციული წესით მიმდინარეობდა. მათ შორის, კიდევ უფრო მცირე იყო ისეთი საქმეების რიცხვი, რომელთა შედეგიც მოპასუხის ადმინისტრაციული პატიმრობით დასრულდა. სახდელის ზომად

მოსამართლეები, ძირითადად, ჯარიმას იყენებდნენ და იშვიათად წყვეტდნენ პირის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების სასამართლო პროცესებზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ თავად სხდომათა მიმდინარეობისას დაცული იყო საპროცესო კანონმდებლობა: მოსამართლე ყურადღებით უსმენდა მხარეებს, სვამდა კითხვებს, იკვლევდა მტკიცებულებებს და არ არღვევდა ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებს. თუმცა, მხარეთა თანასწორობის კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი მოპასუხე მხარესთან შედარებით ყოველთვის უკეთ მომზადებული იყო სხდომისთვის. ამ ფაქტს განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი და მათ შორის, განსაკუთრებით, ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა ადვოკატზე დროული ხელმისაწვდომობის პრობლემა.

მიუხედავად იმისა, რომ თავად პროცესების მიმდინარეობა, გამოკვლეული მტკიცებულებები და მოსამართლეთა ქცევა ქმნიდა მოლოდინს სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე, ადმინისტრაციული სხდომები სრულდებოდა საპირისპიროდ. ეს ფაქტი კი ტოვებს განცდას პროცესის ფორმალურობაზე და მოსამართლის დამოუკიდებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში კითხვის ქვეშ აყენებს. ამით კი სასამართლო პროცესები ემსგავსება საპროტესტო აქციებზე მოქალაქეთა ოპოზიციური, კრიტიკული განწყობის გამო დაკავების მიზანმიმართულ პოლიტიკას.

აქციაზე დაკავებულთა სასამართლო პროცესებზეც გამოკვეთილი იყო ისეთი ტექნიკური ხარვეზები, როგორიცაა: ვიდეომტკიცებულებების მოსამართლის პერსონალურ კომპიუტერში გამოკვლევა, სხდომათა ჩატარების დროისა და დარბაზის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და მათი დროულად დაწყების პრობლემები.

თამარ ქურთაული, *მონიტორი*

პანდემიის მიუხედავად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივისტები აგრძელებდნენ საპროტესტო აქციებს ხელისუფლების წინააღმდეგ. აქციების მონიტორინგის დროს მეტწილად დაცული იყო მონიტორების უსაფრთხოება. დაუბრკოლებლად ხდებოდა აქციის მიმდინარეობის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილება, ფოტო-ვიდეო გადაღება.

2020-2021 წლების განმავლობაში, რაც საპროტესტო აქციებს ვაკვირდები, სამოქალაქო აქტივისტების მიერ გამართული შეკრებებიდან შეიძლება გამოიყოს 2 ყველაზე რეზონანსული საპროტესტო აქცია, რომელიც დაკვირვების პროცესში ქმნიდა სირთულეებს და ეჭქვეშ აყენებდა მათ შორის მონიტორების უსაფრთხოებას. ეს ეხება, ერთი მხრივ, სამართალდამცველთა მიერ მონიტორებისთვის კონკრეტული ლოკაციიდან აქციაზე დაკვირვების აკრძალვას ან მათ მიმართ ისეთივე მოპყრობას, როგორც აქციის მონაწილეთა მიმართ, მეორე მხრივ კი - აქციაზე ძალადობრივი ჯგუფის წევრთა მხრიდან მოსალოდნელ თავდასხმას.

მონიტორებს განსაკუთრებული საფრთხე შეგვექმნა 2021 წლის 5 ივლისს დაანონსებული „ღირსების მარშის“ კონტრაქციის ორგანიზატორების მხრიდან. პარლამენტის წინ შეკრებილი ექსტრემისტული, ჰომოფობიური ჯგუფები ძალადობდნენ ჟურნალისტებზე, რასაც მხარს უჭერდნენ კონტრაქციაში მონაწილე პრორუსული პოლიტიკური ძალებიც და მართლმადიდებელი ეკლესიის

წარმომადგენლები. მონიტორები ამ ძალადობრივ მოვლენებს დიდი რისკის ფასად ვაკვირდებოდით ისეთ პირობებში, როცა ადგილზე სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეთა მასობრივ ძალადობას არ დაუპირისპირეს სპეციალური საშუალებები ფიზიკური ძალადობის გასანეიტრალებლად. ხელისუფლებამ ვერ დაიცვა კონსტიტუციით გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, კერძო საკუთრება. პოლიციის ქმედება მეტწილად მიმართული იყო ძალადობის მსხვერპლთა ადგილიდან განრიდებისკენ. 5 ივლისის მსგავსად, მეორე დღეს - 6 ივლისს პარლამენტთან გამართული „მდუმარე აქციის“ წინააღმდეგ ძალადობრივი ჯგუფის წევრთა თავდასხმები კვლავ იყო მიმართული როგორც ლგბტ თემის წარმომადგენელთა და მხარდამჭერთა მიმართ, ასევე - მასმედიის წინააღმდეგ.

2021 წლის 5-6 ივლისის აქციების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ აქციის მონაწილეთა პროტესტი გასცდა გამოხატვის თავისუფლებას და მშვიდობიანი შეკრების დადგენილ ფარგლებს და მიიღო ძალადობრივი ხასიათი, სახელმწიფომ კი ვერ უზრუნველყო მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა და მასმედიის წარომადგენელთა უსაფრთხოების დაცვა და საქმიანობის ხელშეწყობა, რაც განპირობებული იყო მათ შორის სამართალდამცავთა არასაკმარისი რაოდენობით.

ძალადობრივი ექსცესებისას აქციებზე დამკვირვებელ მონიტორებს თავად გვიწევდა ზრუნვა საკუთარ უსაფრთხოებაზე. უსაფრთხოების კუთხით დამატებით პრობლემას წარმოადგენდა აქციის მონაწილეთა მიერ კოვიდპანდემიის პირობებში შესაბამისი რეგულაციების უგულვებელყოფაც.

მარიტა ცინცქილაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი,
Humanrights.ge-ს რედაქტორი

ადამიანის უფლებათა ცენტრის გუნდს 2021 წლის თებერვლიდან შევუერთდი საზოგადოებასთან ურთიერთიერთობის მენეჯერის და ინტერნეტ-გამოცემის - Humanrights.ge-ს რედაქტორის პოზიციაზე. ცენტრის საქმიანობაში კომუნიკაციას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აქვს და საზოგადოების ჩართულობის გასაზრდელად, ორგანიზაციის ინიციატივების, აქტივობების და ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი დეტალების გაზიარება ყოველდღიურად დავისახეთ მიზნად. სწორედ ამიტომ, 2021 წლის განმავლობაში ჩვენთვის პრიორიტეტული იყო მედიასთან აქტიური თანამშრომლობა და ახალი საკომუნიკაციო არხების/პლატფორმების გამოყენება. ცენტრი აქტიურად იყენებს ფეისბუკის, ტვიტერის, ინსტაგრამის და იუთუბის გვერდებს. საგრძნობლად გაიზარდა გამომწერების რაოდენობა და ფეისბუკ-გვერდს 10 000-მდე, ტვიტერს კი 1000-მდე აქტიური გამომწერი ჰყავს.

2021 წლის მნიშვნელოვანი სიახლეა თანამედროვე მოწყობილობებთან ადაპტირებული ორგანიზაციის ოფიციალური საიტის - HRC.GE-ს განახლება, რომლის საშუალებითაც ქართულ და ინგლისურ ენაზე კვირაში რამდენიმე სიახლეს ვაქვეყნებთ. ასევე გავააქტიურეთ იუთუბ გვერდი, რომელზეც ატვირთულია სხვადასხვა პროექტის ფარგლებში გადაღებული 150-მდე დაარქივებული ვიდეოფაილი. მათგან ზოგიერთის ისტორია 15 წელიწადზე მეტს ითვლის და არ ძველდება.

ცენტრმა 2021 წელს, ასევე, განაახლა ინტერნეტ-გამოცემა humanrights.ge. ეს არის მედიარესურსი, რომლის მიზანია საქართველოში უფლებადაცვითი ჟურნალისტიკის განვითარება და ადამიანის უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. Humanrights,ge 2003 წლიდან ფუნქციონირებს და აქვეყნებს ადამიანის უფლებათა ცენტრის ჟურნალისტების მიერ მომზადებულ სტატიებს, ვიდეოებს და ახალ ამბებს. ასევე, რედაქციის შერჩევით, გამოცემა პერიოდულად აქვეყნებს სხვადასხვა ინტერნეტრესურსების საინტერესო პუბლიკაციებს ადამიანის უფლებების შესახებ.

კორონაპანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციის საქმიანობას და სხვადასხვა პროექტებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას ხელი არ შეშლია. განსაკუთრებულად მინდა გავუსვა ხაზი ცენტრის გუნდის წევრთა მზაობას მედიასთან კომუნიკაციაში, რომელსაც სისტემატიური სახე აქვს. 2021 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი მრავალჯერ მოექცა მედიის ყურადღების ცენტრში.

განსაკუთრებულად საინტერესო იყო NED-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ვამონიტორინგებდით და ვაშუქებდით სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სასამართლო პროცესებს და საპროტესტო აქციებს. ამ წლის განმავლობაში პანდემიამ ხელი ვერ შეუშალა საპროტესტო აქციების ტალღას და სასამართლო პროცესების ფიზიკურ სივრცეში ჩატარებას. ამიტომ მათი გაშუქება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა. ამ პროექტში მიღებული გამოცდილება ჩემთვის ახალი და საინტერესო იყო, სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული პოსტების მიმართ აუდიტორიის ჩართულობა და საჯარო ინტერესი კი ადასტურებს პროექტის წარმატებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში.

ხედვა:

ადამიანის უფლებათა ცენტრს სჯერა, რომ ყველას აქვს უფლება, თავისუფლად და დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიერ უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ჩვენ ვთვლით, რომ ამ უფლებებისა და კანონის უზენაესობის რეალიზაცია და დაცვა წარმოადგენს საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის შენების წინაპირობას.

მიზნები:

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

პრიორიტეტული სფეროები:

კანონის უზენაესობის გაძლიერება

- საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობით და მათი განხორციელების მონიტორინგით;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით ადამიანის უფლებებისა და მათი რეალიზაციისათივს ხელმისაწვდომი იურიდიული მექანიზმების შესახებ;
- უფასო იურიდიული დახმარებით კერძო პირებისა და ჯგუფებისათვის, რათა დაცული იყოს მათი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
- ადამიანის უფლებების დარღვევების მონიტორინგით, დოკუმენტირებით და ანგარიშების მომზადებით.

გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვა

- დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობით;
- გამოხატვის თავისუფლებისათვის შესაბამისი გარემოს შექნის ხელშეწყობით;
- ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების ორგანიზაციული განვითარებით.

თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა

- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლით;
- უმცირესობების უფლებების დაცვით;
- გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობით.

გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების ხელშეწყობა

- შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების დოკუმენტირებით და ანგარიშების მომზადებით;
- ადამიანის უფლებათა დარღვევებზე ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით;
- რესტიტუციის, რეპარაციის ადვოკატირებით;
- ნდობის აღდგენა შერიგებისა და მშვიდობის აღდგენით;

დემოკრატიული პროცესების გაძლიერება

- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება ორგანიზაციული განვითარებისა და ქსელური საქმიანობების საშუალებებით;
- სოციალური ჯგუფების სამოქალაქო საქმიანობებში ჩართვის ხელშეწყობით;

- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების, კარგი მმართველობისა და გამჭირვალობის ხელშეწყობით.

საქმიანობა:

- საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მონიტორინგი და დოკუმენტირება;
- საქართველოში ადამიანის უფლებების სიტუაციის შესახებ ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ეუთოს, გაეროს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ანგარიშების რეგულარულად მიწოდება;
- საკანონმდებლო და პოლიტიკის რეფორმების ლობირება და ადვოკატირება ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან;
- ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებზე სასამართლო დავების წარმოება იურიდული დახმარების ცენტრის უფასო მომსახურების გზით.
- საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყოველდღიურად განახლებადი ორენოვანი ინტერნეტგამოცემის www.humanrights.ge-სა და ორგანიზაციის ვებგვერდის - www.hrc.ge-ს საშუალებით.
- ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების ქსელური საქმიანობის საშუალებით.

დონორები:

- „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED)
- ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC)
- ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ACCESS-ის პროგრამა
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM)
- ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
- გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდი ifa (Institut für Auslandsbeziehungen), zivik
- მსოფლიო ფედერალური მოძრაობა-გლობალური პოლიტიკის ინსტიტუტი (WFM-IGP)
- ევროკომისია
- გერმანული მარშალის ფონდის შავი ზღვის ფონდი, აშშ
- აშშ-ის საელჩო საქართველოში
- კანადის საელჩო
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში
- ლიეტუვის საელჩო საქართველოში
- ბულგარეთის საელჩო საქართველოში

10 STEPS on the way to
HUMAN RIGHTS HOUSE
ISFED

შეხვედრები

HUMAN RIGHTS CENTER

ცრემლიანები

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული ანგარიშები და ანალიტიკური დოკუმენტები

აკრძალული უფლება, დროებითი კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკანონმდებლო სტანდარტები და პრაქტიკაში რეალიზაციის პრობლემები

დოკუმენტი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ მომზადებულ ანგარიშებს. ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებულ საპროტესტო აქციებზე დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ერთგვარი ტენდენცია, რომ აქციის მიმდინარეობისას კარვის ან დროებითი კონსტრუქციის განთავსება სამართალდამცავი ორგანოების მიერ იზღუდება. http://www.hrc.ge/files/7PROHIBITED%20RIGHTS-geo..pdf

კოვიდ-19, საგანგებო ზომები და სამოქალაქო თავისუფლებები საქართველოში

ანალიტიკურ დოკუმენტში განხილულია 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მარტამდე პერიოდში Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებული მოვლენები საქართველოში, პანდემიის წინააღმდეგ მიღებული საგანგებო ზომები და შეზღუდვები და მათი ზეგავლენა სამოქალაქო თავისუფლებებზე. http://www.hrc.ge/files/8covid-analitic-geo.pdf?fbclid=IwAR3QmkIRegb9b4oEBCbFVYi6Q_tUHP2xOieUYTGupaH5W1f6BkOy_Ko1eP4

გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2020 წლიდან ახორციელებს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს. მათ შორის არის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებიც. დოკუმენტში ასახული სამართლებრივი შეფასება ემყარება ბრალდებულთა წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ნაწილს და მასში ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების მისადაგების საფუძველზე, გაკეთებულია შედარებით სამართლებრივი ანალიზი. http://www.hrc.ge/files/10saakashvili-geo.pdf?fbclid=IwAR344GkRhcwYZlmsLSD1CbPoFiIrqIIRAM7Mee2QDohOeUz4ZlO67FF3E-4

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები, პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია

ანგარიში ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტებს, სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშებს, სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშებს, საჯარო წყაროებში არსებულ მასალას და სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშს 2019 წლის 20-21 ივლისის მოვლენებზე პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების შესახებ. დოკუმენტში განხილული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის მიზანს წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირება. http://www.hrc.ge/files/10220-21%20june.pdf

კოვიდ-19, საგანგებო ზომები და სამოქალაქო თავისუფლებები საქართველოში

ანალიტიკურ დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოში კოვიდ-19- ის პანდემიასთან დაკავშირებული მოვლენები, პანდემიასთან ბრძოლის ზომები და მათი ზეგავლენა სამოქალაქო თავისუფლებებზე 2021 წლის მარტი-მაისის პერიოდში. ანალიტიკური დოკუმენტი ასევე ეხება სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობას, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პანდემიასთან, მათ შორის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასა და გადაადგილების თავისუფლებას. http://www.hrc.ge/files/128COVID-19%20&%20EMERGENCY%20MEASURES%20-geo.pdf.

ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ

დოკუმენტის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია მიღებული ცვლილებების შესახებ და შეაფასოს ამ ცვლილებათა საჭიროება და მიზანშეწონილობა საქართველოს ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილების ანალიზითა და ადამიანის უფლებებით შებოჭილი კანონშემოქმედების პროცესის მიმოხილვით. დოკუმენტი, ასევე, მიმოიხილავს მიღებული ცვლილებების შესაძლო მსუსხავ ეფექტს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზების პროცესში და მის შესაძლო ნეგატიურ გავლენას ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი სტანდარტის დაცვაზე.

http://www.hrc.ge/files/108administraciuli%20samartaldargveva.geo..pdf?fbclid=IwAR2Z98C5QHlYsshjM1pubGWVjvE6tNFMNyasBjUS4ygJg1cxgyrAuylWWWs

მარტოდ მცხოვრები ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემები

2021 წლის 20 იანვრიდან 2021 წლის 20 აგვისტომდე ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა პროექტი „პანდემიის შედეგების შემსუბუქება მარტოხელა ხანდაზმულებისთვის შიდა ქართლში“. პროექტი მიზნად ისახავდა მარტოხელა ხანდაზმულებისთვის პანდემიის შედეგად გამოწვეული პრობლემების სამართლებრივი მოგვარების ხელშეწყობას, ხანდაზმულთა საჭიროებების კვლევას და კვლევის შედეგების გათვალისწინებით გამოკვეთილი პრობლემების სხვადასხვა უწყებებთან წარდგენას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. დოკუმენტში მიმოხილულია მარტოდ მცხოვრები ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემები. http://www.hrc.ge/files/reports/157elderly-

geo.pdf?fbclid=IwAR240DiXpx1f83tDvntuM3VVSDSfMKHJEtgR7WgX5CP8KZqaiv6o1BCbBKk

ნამახვანჰესის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების მონიტორინგი

ცენტრის მიერ მომზადებული მონიტორინგის ანგარიში ასახავს ნამახვანჰესის კასკადის (შემდგომში - ნამახვანჰესი) მშენებლობის წინააღმდეგ განვითარებული მოვლენების/აქციების მონიტორინგის მიგნებებსა და შედეგებს; გამოყოფს იმ ძირითად პრობლემებსა და საკითხებს, რაც გამოიკვეთა საანგარიშო პერიოდში ან წარმოიშვა მანამდე, მაგრამ აქტუალური იყო 2021 წელსაც. დოკუმენტში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეკრება/მანიფესტაციის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. აქცენტი გაკეთდა როგორც უფლებადარღვევებზე და ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს რეაგირებაზე, ასევე - ხარვეზიან კანონმდებლობაზე.

http://www.hrc.ge/files/reports/159namakhvani-geo.pdf?fbclid=IwAR2_deMkU-qEvC6fMSs5IkowhCDZ8_0Xa204Lu1D6BylxgBjHUF9Vu18x80

ადამიანის უფლებათა ცენტრის რეკომენდაციები პენიტენციურ დაწესებულებებში კორონავირუსის გავრცელების პრევენციისათვის

ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობს პატიმართა უფლებების დაცვაზე. თავისუფლებააღკვეთილი ადამიანები - პატიმრები და სხვა მსგავსი სახის დაწესებულებებში განთავსებული პირები განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან კორონავირუსის (COVID-19) დაავადების მიმართ. ამას, სხვა რელევანტურ ფაქტორებთან ერთად, განაპიროებებს ის ფაქტი, რომ მსგავსი დაწესებულებები არ არიან ადაპტირებული ფართომასშტაბიან ეპიდემიებთან საბრძოლველად. არსებული ვითარებიდან გამომდინარე ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველოს პარლამენტს და პრეზიდენტს რამდენიმე რეკომენდაციის შესრულებისაკენ მოუწოდებს.
http://www.hrc.ge/files/164pandemia%20da%20patimrebi.pdf?fbclid=IwAR3EhMI9EiWiF3hvMlmtlZlloToMvPLaxOuzaKVqRk1U-cSipynZA_FkIbU

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის ფაქტების სამართლებრივი შეფასება

2021 წლის 13 სექტემბერს, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან საიდუმლო ფაილები გავრცელდა. ინტერნეტში გავრცელებული ფაილების თანახმად, ირკვევა, რომ ქვეყანაში უსმენენ და უთვალთვალებენ მედიასაშუალებების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების , ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრებს და ა.შ. დოკუმენტში სამართლებრივად არის შეფასებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური მოსმენისა და თვალთვალის ფაქტები. http://hrc.ge/files/176mosmenebi-geo.pdf?fbclid=IwAR3bohjDco_uUuN4C1NEdg_w6M6R3nc9yF1QaPTUSoB1DumMIpkmXokigAw

სამართლიანი სასამართლოს უფლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში

2020 წლის თებერვლიდან დღემდე ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მოექცა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რამდენიმე საქმე, რომელთაგან ნაწილის განხილვა სასამართლოში ამჟამად დასრულებულია. დოკუმენტი გამოკვეთს და აფასებს იმ პრობლემებს, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოვლინდა.

http://hrc.ge/files/179adm-cases-geo-.pdf?fbclid=IwAR3oZLJY3OKx6sw3pnFkPZxRN2DxfGhlKQdFxKQ9krK5c4xLvgosL7VeaQY

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

2020 წლის თებერვლიდან დღემდე ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მოექცა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რამდენიმე საქმე, რომელთაგან ნაწილის განხილვა სასამართლოში ამჟამად დასრულებულია. დოკუმენტი გამოკვეთს და აფასებს იმ პრობლემებს, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოვლინდა.

http://hrc.ge/files/179adm-cases-geo-.pdf?fbclid=IwAR3oZLJY3OKx6sw3pnFkPZxRN2DxfGhlKQdFxKQ9krK5c4xLvgosL7VeaQY

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი საქართველოს სამ რეგიონში: იმერეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში განახორციელა. ანგარიშში მიმოხილულია და კრიტიკულადაა შეფასებული საარჩევნო სისტემასა და კანონმდებლობაში შესული სხვადასხვა რელევანტური ცვლილება, რაც შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირებს, უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ წინასაარჩევნო პერიოდსა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კონტექსტში.

http://hrc.ge/files/reports/183report%20Municipal%20elections%202021-geo.pdf

მისამართი:

თბილისი
0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ.11ა,
(ყოფილი გაგარინის 2 ჩიხი) III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50
(+995 32) 238 46 48
ვებ-გვერდი:www.hrc.ge

გორი
1400 გორი, ლერმონტოვის ქუჩა #9, ბინა #5
ტელ.: 0(370) 29 25 91

გურჯაანი
გურჯაანი, ნონეშვილის ქუჩა 14, III სართული
ტელ:0 (353) 22-50-70